




# შპს ემტეუნისკი

## ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის



## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

## სარჩევი

|                                                                                                                |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....                                   | 3  |
| მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით<br>დასრულებული წლისათვის ..... | 4  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის .....                                | 5  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                                                     | 6  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                                     | 6  |
| 2. მომხადების საფუძველი .....                                                                                  | 6  |
| 3. სააღრიცხვო კოლიტიკა .....                                                                                   | 7  |
| 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ .....                         | 12 |
| 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები .....                                                     | 13 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები .....                                                               | 14 |
| 7. საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) .....                                                                 | 14 |
| 8. გარაგები .....                                                                                              | 14 |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                                                                                  | 15 |
| 10. არამატერიალური აქტივები .....                                                                              | 16 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები .....                                                           | 16 |
| 12. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი კროცენტი .....                                                         | 17 |
| 13. ფინანსური ინსტრუმენტები .....                                                                              | 17 |
| 14. ამონაბეჭდი .....                                                                                           | 17 |
| 15. სხვა შემოსავლები .....                                                                                     | 18 |
| 16. სხვა ხარჯები .....                                                                                         | 18 |
| 17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა .....                                                          | 18 |
| 18. ფინანსური დანახარჯები .....                                                                                | 18 |
| 19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები .....                                                                      | 19 |
| 20. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება .....                                                                   | 20 |
| 21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ .....                                                              | 21 |

**შპს ემტექნიკსი**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| აქტივები                                                                          | შენიშვნა | 31-12-19          | 31-12-18         |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------|-------------------|------------------|
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                                                      |          |                   |                  |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები                                 | 5        | 796,367           | 400,098          |
| შემოსული ფულადი სახსრები                                                          | 5        | 14,118            | -                |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (2018: ადრე წარდგენილი 3,437,887 ლარი)    | 6        | 3,634,337         | 3,283,613        |
| საგადასახადო აქტივები (2018: ადრე წარდგენილი 100,611 ლარი)                        | 7        | -                 | 100,594          |
| მარაგები                                                                          | 8        | 7,383,820         | 4,000,468        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                                  |          | <b>11,828,642</b> | <b>7,784,772</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                                      |          |                   |                  |
| ძირითადი საშუალებები                                                              | 9        | 412,390           | 246,632          |
| არამატერიალური აქტივები                                                           | 10       | 8,519             | 8,550            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                                  |          | <b>420,910</b>    | <b>255,181</b>   |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                                                           |          | <b>12,249,552</b> | <b>8,039,954</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                              |          |                   |                  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                                 |          |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (2018: ადრე წარდგენილი 1,398,682 ლარი) | 11       | 1,840,960         | 1,245,871        |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                        | 7        | 131,072           | -                |
| მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი                                      | 12       | 6,270,589         | 3,658,677        |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                             |          | <b>8,242,621</b>  | <b>4,904,548</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                                                      |          | <b>8,242,621</b>  | <b>4,904,548</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                          |          |                   |                  |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) (2018: ადრე წარდგენილი 3,136,885 ლარი)  | 20       | 4,006,931         | 3,135,406        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                      |          | <b>4,006,931</b>  | <b>3,135,406</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>                                 |          | <b>12,249,552</b> | <b>8,039,954</b> |

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ირინა ბრძელიძე

ივანე კვირიკაშვილი

6-21 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს ემტექნიკსი**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)**მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

|                                                                                     | შენიშვნა | 31-12-19         | 31-12-18         |
|-------------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                                                                           | 14       | 25,875,565       | 19,841,225       |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება                                                 |          | (20,400,846)     | (15,856,920)     |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                |          | <b>5,474,719</b> | <b>3,984,304</b> |
| სხვა შემოსავლები                                                                    | 15       | 695,715          | 186,287          |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი (2018: ადრე<br>წარდგენილი 1,033,558 ლარი)           |          | (1,481,388)      | (1,033,575)      |
| მიწოდების ხარჯები                                                                   |          | (1,193,302)      | (690,288)        |
| სხვა ხარჯები                                                                        | 16       | (309,155)        | (91,846)         |
| მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან - წმინდა<br>(2018: ადრე წარდგენილი 248,492 ლარი) | 17       | (1,090,342)      | (249,951)        |
| <b>საოპერაციო მოგება (2018: ადრე წარდგენილი<br/>2,106,407 ლარი)</b>                 |          | <b>2,096,247</b> | <b>2,104,931</b> |
| ფინანსური ხარჯი                                                                     | 18       | (508,911)        | (228,351)        |
| <b>მოგება დაბეგვრამდე (2018: ადრე წარდგენილი<br/>1,878,057 ლარი)</b>                |          | <b>1,587,336</b> | <b>1,876,581</b> |
| მოგების გადასახადი                                                                  |          | (105,835)        | (8,294)          |
| <b>წმინდა მოგება (2018: ადრე წარდგენილი 1,869,762<br/>ლარი)</b>                     |          | <b>1,481,502</b> | <b>1,868,286</b> |
| გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (ადრე<br>წარდგენილი)                            | 20       |                  | 1,537,069        |
| წინა პერიოდის შეცდომის გასწორების ეფექტი                                            |          |                  | (3)              |
| გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი<br>(გადაანგარიშებული)                           |          | 3,135,406        | 1,537,066        |
| დივიდენდები                                                                         |          | (609,976)        | (269,947)        |
| <b>გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი</b>                                          |          | <b>4,006,932</b> | <b>3,135,406</b> |

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ირინე ბრძელიძე

ივანე კვირიკაშვილი

6-21 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს ემტექნიკსი**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)**ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

|                                                                            | 31-12-19         | 31-12-18         |
|----------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                            |                  |                  |
| მოგება დაბეგვრამდე                                                         | 1,587,336        | 1,876,581        |
| კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:                  |                  |                  |
| - ცვეთა და ამორტიზაცია                                                     | 75,340           | 37,887           |
| - სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი                                  | 284,081          | 71,279           |
| - მარაგების გაუფასურების ზარალი                                            |                  | 534              |
| - საგარანტიო მომსახურების ანარიცხები                                       | 104,550          | 105,853          |
| - უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატ. ფას. საბაზრო ფასი                     | (689,136)        | (165,655)        |
| - უსასყიდლოდ მიწოდება                                                      | 18,986           | 15,408           |
| - (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან                                       | 1,013,451        | 208,173          |
| - წმინდა ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი                                      | 508,911          | 228,351          |
| - (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან                      | (4,359)          | 741              |
| <b>ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:</b>                                       |                  |                  |
| - მეზღუდული ფულადი სახსრები                                                | (14,118)         | -                |
| - მარაგები                                                                 | (2,694,217)      | (2,283,856)      |
| - მოკლევადიანი მოთხოვნები                                                  | (701,391)        | (658,103)        |
| - სხვა საგადასახადო აქტივები/ ვალდებულებები                                | 203,035          | (227,195)        |
| - მოკლევადიანი ვალდებულებები                                               | 83,230           | 687,896          |
| <b>ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები</b>                           | <b>(224,301)</b> | <b>(102,108)</b> |
| - გადახდილი პროცენტები                                                     | (514,158)        | (229,331)        |
| - გადახდილი მოგების გადასახადი                                             | (77,203)         | (8,294)          |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                     | <b>(815,662)</b> | <b>(339,732)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                          |                  |                  |
| - არამატერიალური აქტივების შეძენა                                          | (1,045)          | (5,374)          |
| - ძირითადი საშუალებების შეძენა                                             | (250,113)        | (167,334)        |
| - ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები                     | 14,448           | 13,989           |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                   | <b>(236,710)</b> | <b>(158,719)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                             |                  |                  |
| - სასესხო ვალდებულებების ზრდა                                              | 20,260,483       | 8,652,302        |
| - სასესხო ვალდებულებების დაფარვა                                           | (18,282,232)     | (7,721,912)      |
| - გადახდილი დივიდენდები                                                    | (609,976)        | (269,947)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                      | <b>1,368,275</b> | <b>660,444</b>   |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)</b>    | <b>315,903</b>   | <b>161,992</b>   |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი</b> | <b>400,098</b>   | <b>259,588</b>   |
| <b>გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება</b>                     | <b>80,366</b>    | <b>(21,482)</b>  |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი</b> | <b>796,367</b>   | <b>400,098</b>   |

დირექტორი

ირინა ბრძელიძე

ფინანსური დირექტორი

ივანე კვირიკაშვილი

6-21 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## **ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

### **1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს ემტექნიკსი (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2013 წლის 7 მარტს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი კახა გაბრიჭიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამომხმარებლო ელექტრონიკის საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი.

### **2. მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დამყარებით - ანუ დამყარებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები. ვირუსმა და აგრეთვე მისი გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკური გარემო. 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. ყოველივე ამან გამოიწვია კომპანიის გაყიდვების შემცირება, თუმცა კომპანიამ შეძლო საერთო მოგების მარჟის შენარჩუნება. კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ნაწილობრივ დაფინანსდა სესხების ზრდით, მიუხედავად ამისა კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დამყარების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2020 წლის 24 ივნისს.

### შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

#### ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |            |        |
|----------------------------------------------|------------|--------|
|                                              | აშშ დოლარი | ევრო   |
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.8677     | 3.2095 |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.6766     | 3.0701 |

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

| ძირითადი საშუალებების ჯგუფი         | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------------------|-------------------------------------|
| სატრანსპორტო საშუალებები            | 3-6                                 |
| მანქანა-დანადგარები                 | 2-5                                 |
| კომპიუტერული ტექნიკა                | 3-8                                 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 2-9                                 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმონყოლა | 5-6                                 |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ბარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

## არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ბარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

## მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ბარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ბარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

### იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების

## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

## ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი განეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

## ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

კომპანიის მიერ გაყიდულ ყველა საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას 2-3 წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის შეკეთებას ან შეცვლას კომპანია ახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც აღიარდება შემოსავალი, კეთდება ანარიცხი საგარანტიო მომსახურების ვალდებულების შეფასებული დანახარჯებისათვის.

## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

### სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები განეწესიან ალიარდება მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ განეული წარმომადგენლობითი ხარჯები

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

## 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

### ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### უიმედო ვალუების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ

რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

### საგარანტიო ანარიცხები

კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აფასებს წარსული გამოცდილებისა და იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე და მომავალში დასაკამყოფილებელი მოვალეობის შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის რეალიზებული საქონლისთვის.

შეფასების პროცესის თანდაყოლილი განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, ფაქტური საგარანტიო ხარჯები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ანარიცხის შეფასებული თანხისგან.

### ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

## 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                 | 2019           | 2018           |
|---------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 37,908         | 69,965         |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 346,268        | 294,947        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 412,190        | 35,186         |
| <b>სულ</b>                      | <b>796,367</b> | <b>400,098</b> |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია შემლუდული ფულადი სახსრები 14,118 ლარის მოცულობით, რომელიც წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ გარანტიის დეპოზიტს. თანხის გამონთავისუფლება მოხდა 2020 წლის თებერვალში.

**შპს ემტექნიკსი**

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

**6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები**

|                                                           | 2019             | 2018             |
|-----------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო                                 | 1,921,472        | 1,576,798        |
| გადახდილი ავანსები (2018: ადრე წარდგენილი 1,738,648 ლარი) | 1,487,514        | 1,584,373        |
| მოთხოვნა დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 19)     | 225,351          | 122,442          |
| <b>სულ</b>                                                | <b>3,634,337</b> | <b>3,283,613</b> |

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 284,081 ლარის ოდენობით (2018 წელს 71,269 ლარი). არსებული და მომავალი სავაჭრო მოთხოვნები 2,146,823 ლარის ოდენობით დატვირთულია გირავნობით აღებული საბანკო სესხების სასარგებლოდ.

**7. საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)**

|                                                      | 2019             | 2018           |
|------------------------------------------------------|------------------|----------------|
| გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება | (28,631)         | -              |
| გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა                | (825)            | (956)          |
| საშემოსავლო გადასახადი                               | (2,539)          | (2,122)        |
| გადასახდელი დღგ                                      | (85,326)         | (48,531)       |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები                      | (13,750)         | (1,000)        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                      | -                | 153,203        |
| <b>სულ</b>                                           | <b>(131,072)</b> | <b>100,594</b> |

**8. მარაგები**

|            | 2019             | 2018             |
|------------|------------------|------------------|
| საქონელი   | 7,383,007        | 3,987,287        |
| სხვა       | 814              | 13,180           |
| <b>სულ</b> | <b>7,383,820</b> | <b>4,000,468</b> |

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 20,400,873 ლარი (2018 წელს 15,856,386 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2018 წელს 534), იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში. არსებული და სამომავლო მარაგები სრული მოცულობით დატვირთულია გირავნობით აღებული საბანკო სესხების სასარგებლოდ.

**შპს ემტენიკსი**

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(გრძელ ლარი)

**9. ძირითადი საშუალებები**

| თვითღირებულება    | მანქანა-<br>დანადგარები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ავიჭი და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით აღებული<br>ქონების<br>კაპიტალიზაცია | სულ      |
|-------------------|-------------------------|-------------------------|----------------------------|-----------------------------|--------------------------------------------|----------|
| 31 დეკემბერი 2018 | 9,915                   | 22,101                  | 36,998                     | 204,133                     | 37,963                                     | 311,111  |
| შემოსვლა          | -                       | 9,508                   | 148,516                    | 92,089                      | -                                          | 250,113  |
| გასვლა            | -                       | -                       | -                          | (27,060)                    | -                                          | (27,060) |
| 31 დეკემბერი 2019 | 9,915                   | 31,610                  | 185,514                    | 269,163                     | 37,963                                     | 534,164  |

**ცვლილება გაუფასურება**

|                      |         |          |          |          |          |           |
|----------------------|---------|----------|----------|----------|----------|-----------|
| 31 დეკემბერი 2018    | (666)   | (9,041)  | (15,980) | (28,480) | (10,312) | (64,479)  |
| პერიოდის ამორტიზაცია | (1,983) | (5,549)  | (18,020) | (43,019) | (5,694)  | (74,265)  |
| გაუფასურება          | -       | -        | -        | -        | -        | -         |
| გასვლა               | -       | -        | -        | 16,970   | -        | 16,970    |
| 31 დეკემბერი 2019    | (2,649) | (14,590) | (34,000) | (54,529) | (16,006) | (121,774) |

**ნაერთ საბალანსო ღირებულება**

|                   |       |        |         |         |        |         |
|-------------------|-------|--------|---------|---------|--------|---------|
| 31 დეკემბერი 2018 | 9,249 | 13,060 | 21,017  | 175,653 | 27,652 | 246,632 |
| 31 დეკემბერი 2019 | 7,267 | 17,020 | 151,513 | 214,634 | 21,957 | 412,390 |

**შპს ემტექნიკსი**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)**10. არამატერიალური აქტივები**

| თვითღირებულება                    | პროგრამული<br>უზრუნველყოფა | სულ            |
|-----------------------------------|----------------------------|----------------|
| <b>31 დეკემბერი 2018</b>          | <b>11,847</b>              | <b>11,847</b>  |
| შემოსვლა                          | 1,045                      | 1,045          |
| გასვლა                            | -                          | -              |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>          | <b>12,892</b>              | <b>12,892</b>  |
| <b>ამორტიზაცია და გაუფასურება</b> |                            |                |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>          | <b>(3,297)</b>             | <b>(3,297)</b> |
| პერიოდის ამორტიზაცია              | (1,075)                    | (1,075)        |
| გაუფასურება                       | -                          | -              |
| გასვლა                            | -                          | -              |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>          | <b>(4,373)</b>             | <b>(4,373)</b> |
| <b>ნეთი საბალანსო ღირებულება</b>  |                            |                |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>          | <b>8,550</b>               | <b>8,550</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>          | <b>8,519</b>               | <b>8,519</b>   |

**11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

|                                                                 | 2019             | 2018             |
|-----------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები (2018: ადრე წარდგენილი<br>1,299,906 ლარი) | 1,684,868        | 1,147,094        |
| ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ<br>(შენიშვნა 19)   | 48,492           | 12,622           |
| მიღებული ავანსები                                               | 30,558           | 18,618           |
| გადასახდელი ხელფასები                                           | 7,333            | 16,129           |
| საგარანტიო მომსახურების ანარიცხი                                | 69,708           | 51,408           |
| <b>სულ</b>                                                      | <b>1,840,960</b> | <b>1,245,871</b> |

**შპს ემტექნიკსი**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)**12. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი**

|                                                             | 2019             | 2018             |
|-------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | 6,270,589        | 3,653,415        |
| გადასახდელი პროცენტი                                        | -                | 5,263            |
| <b>სულ</b>                                                  | <b>6,270,589</b> | <b>3,658,677</b> |

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხს, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარში და ლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომინირებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 6.8 - 7%-ს, ხოლო ლარში დენომინირებულ სესხზე წლიურ 12.5%-ს. სესხების დაფარვის ვადა მერყეობს 2020 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე. სესხებს ახლავს პირობა რომ ბანკს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხებით, შესაბამისად ყველა სესხი კლასიფიცირებულ იქნა მოკლევადიან სესხად. კომპანიას ბანკის მიერ დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად, აგრეთვე უნდა შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტები ბანკის მიერ დადგენილ დონეზე. ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს მარაგებით და დებიტორული დავალიანებით, სესხები დამატებით უზრუნველყოფილია დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით და წილით საწარმოში (შენიშვნა 6, შენიშვნა 8 და შენიშვნა 19).

**13. ფინანსური ინსტრუმენტები**

|                                                        |                  |                  |
|--------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>                              | 2019             | 2018             |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები | 2,943,190        | 2,099,338        |
| <b>სულ</b>                                             | <b>2,943,190</b> | <b>2,099,338</b> |

|                                                             |                  |                  |
|-------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>                              | 2019             | 2018             |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | 8,003,950        | 4,818,393        |
| <b>სულ</b>                                                  | <b>8,003,950</b> | <b>4,818,393</b> |

**14. ამონაგები**

|                  | 2019              | 2018              |
|------------------|-------------------|-------------------|
| საქონლის გაყიდვა | 25,875,565        | 19,841,225        |
| <b>სულ</b>       | <b>25,875,565</b> | <b>19,841,225</b> |

**შპს ემტეენიკსი**ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)**15. სხვა შემოსავლები**

|                                                       | 2019           | 2018           |
|-------------------------------------------------------|----------------|----------------|
| უსასყიდლოდ მიღებული მარაგების საბაზრო ფასი            | 689,136        | 165,655        |
| ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა | 4,359          | -              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                         | 2,220          | 20,632         |
| <b>სულ</b>                                            | <b>695,715</b> | <b>186,287</b> |

**16. სხვა ხარჯები**

|                                                   | 2019             | 2018            |
|---------------------------------------------------|------------------|-----------------|
| სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი           | (284,081)        | (71,279)        |
| ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი | -                | (741)           |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                        | (25,074)         | (19,826)        |
| <b>სულ</b>                                        | <b>(309,155)</b> | <b>(91,846)</b> |

**17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - ნმინდა**

|                                                                         | 2019               | 2018             |
|-------------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება (2018: ადრე წარდგენილი 1,773,773 ლარი) | 3,472,379          | 1,770,806        |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი (2018: ადრე წარდგენილი 2,022,264 ლარი) | (4,562,721)        | (2,020,757)      |
| <b>სულ</b>                                                              | <b>(1,090,342)</b> | <b>(249,951)</b> |

**18. ფინანსური დანახარჯები**

|                                                                                       | 2019             | 2018             |
|---------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | (508,911)        | (228,351)        |
| <b>სულ</b>                                                                            | <b>(508,911)</b> | <b>(228,351)</b> |

**შპს ემტეენიკსი**

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

**19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია კახა გაბრიჭიძე.

კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით და წილით სანარმოში. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

**საქონლის მიწოდება:**

|                             | 2019           | 2018          |
|-----------------------------|----------------|---------------|
| მაკონტროლებელი მხარე        | 8,145          | 4,393         |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 103,501        | 86,683        |
| <b>სულ</b>                  | <b>111,646</b> | <b>91,076</b> |

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

**მომსახურების შეძენა:**

|                             | 2019           | 2018           |
|-----------------------------|----------------|----------------|
| მაკონტროლებელი მხარე        | 277,660        | 123,000        |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 602,628        | 468,243        |
| <b>სულ</b>                  | <b>880,288</b> | <b>468,243</b> |

მაკონტროლებელი მხარისგან ხდება საიჯარო მომსახურების შეძენა საბაზრო პირობებით. სხვა დაკავშირებული მხარე წარმოადგენს სერვისცენტრს რომლის მაკონტროლებელი მხარე კომპანიის ერთ - ერთი თანამშრომელი. კომპანია მისგან იძენს რეალიზებული პროდუქციის სამონტაჟო და საგარანტიო მომსახურების ფარგლებში შეკეთების მომსახურებას. მომსახურების მოწოდება ხდება სპეციალურ ფასად.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

|                                                               | 2019           | 2018           |
|---------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 6)</b> |                |                |
| <i>სავაჭრო დებიტორული დავალიანება:</i>                        |                |                |
| მაკონტროლებელი მხარე                                          | -              | 893            |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                                   | 225,351        | 121,549        |
| <i>გადახდილი ავანსები</i>                                     |                |                |
| მაკონტროლებელი მხარე                                          | -              | -              |
| <b>სულ</b>                                                    | <b>225,351</b> | <b>122,442</b> |

### შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                                                       | 2019          | 2018          |
|-----------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| <b>ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ<br/>(შენიშვნა 11)</b> |               |               |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება                                       |               |               |
| მაკონტროლებელი მხარე                                                  | -             | 10,360        |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                                           | 48,492        | 2,262         |
| <b>სულ</b>                                                            | <b>48,492</b> | <b>12,622</b> |

დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნის დაფარვის ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული რეალიზაციისას შეთანხმების საფუძველზე. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. 2019 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა (2018 წელს 13,600 ლარი).

მაკონტროლებელი მხარის მიმართ ვალდებულების დაფარვა ხდება შეთანხმების საფუძველზე ინდივიდუალური გრაფიკით. სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულება გადასახდელია მომსახურების შეძენიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

### დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

|                             | 2019           | 2018           |
|-----------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 480,583        | 420,622        |
| <b>სულ</b>                  | <b>480,583</b> | <b>420,622</b> |

## 20. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2020 წელს, საწარმომ აღმოაჩინა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოჩენილი იყო ერთ-ერთ მომწოდებელთან გადახდილი ავანსისა და სავაჭრო ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და აგრეთვე სხვა არაარსებითი შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2018 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. გადახდილი ავანსისა და სავაჭრო ვალდებულებების ურთიერთჩათვლის გასწორებამ გამოიწვია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსებისა და სავაჭრო ვალდებულებების 154,274 ლარით შემცირება. გარდა ამისა სხვა არაარსებითი შეცდომების გასწორების შედეგად სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,463 ლარით გაიზარდა, აღნიშნულის შედეგად 2018 წლის საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი გაიზარდა 1,460 ლარით, ხოლო ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 16 ლარით. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოგება დაბეგვრის შემდგომ შემცირდა 1,476 ლარით. ამასთან, 2018 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 3 ლარით, 2018 წლამდე პერიოდებთან დაკავშირებული შეცდომის ოდენობა.

## **შპს ემტექნიკსი**

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

### **21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 1,111,895 ლარის ოდენობით.

კომპანია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეიძინა 3 სატრანსპორტო საშუალება ჯამური ღირებულებით 42,158 ლარი.

გამონთავისუფლდა შეზღუდული ფულადი სახსრები, ბანკის მიერ გაცემული გარანტიის დეპოზიტი, 14,118 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიის მიერ მოხდა სესხების აღება 14,074,050 ლარის ეკვივალენტის ოდენობით და სესხების დაფარვა 7,073,332 ლარის ეკვივალენტის ოდენობით.

2020 წლის თებერვლიდან კომპანიამ თავის საქმიანობას დაამატა ახალი მიმართულება, ავეჯის იმპორტი და რეალიზაცია. აღნიშნულით კომპანია მოელის სეზონური გაყიდვების დაბალანსებას.

# შპს ემთეჟნიკსი

## ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

## სარჩევი

|                                                                                                                |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....                                   | 3  |
| მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით<br>დასრულებული წლისათვის ..... | 4  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის .....                                | 5  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                                                     | 6  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                                     | 6  |
| 2. მომგადების საფუძველი .....                                                                                  | 6  |
| 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                                                   | 7  |
| 4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ .....                         | 12 |
| 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები .....                                                     | 13 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები .....                                                               | 14 |
| 7. საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) .....                                                                 | 14 |
| 8. ბარაბები .....                                                                                              | 14 |
| 9. ძირითადი საშუალებები .....                                                                                  | 15 |
| 10. არამატერიალური აქტივები .....                                                                              | 16 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები .....                                                           | 16 |
| 12. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი .....                                                         | 17 |
| 13. ფინანსური ინსტრუმენტები .....                                                                              | 17 |
| 14. ამონაბები .....                                                                                            | 17 |
| 15. სხვა შემოსავლები .....                                                                                     | 18 |
| 16. სხვა ხარჯები .....                                                                                         | 18 |
| 17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა .....                                                          | 18 |
| 18. ფინანსური დანახარჯები .....                                                                                | 18 |
| 19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები .....                                                                      | 19 |
| 20. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება .....                                                                   | 20 |
| 21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ .....                                                              | 21 |

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                                                   | შენიშვნა | 31-12-19          | 31-12-18         |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------|-------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                                                   |          |                   |                  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                                                      |          |                   |                  |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები                                 | 5        | 796,367           | 400,098          |
| შემოსული ფულადი სახსრები                                                          | 5        | 14,118            | -                |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (2018: ადრე წარდგენილი 3,437,887 ლარი)    | 6        | 3,634,337         | 3,283,613        |
| საგადასახადო აქტივები (2018: ადრე წარდგენილი 100,611 ლარი)                        | 7        | -                 | 100,594          |
| მარაგები                                                                          | 8        | 7,383,820         | 4,000,468        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                                  |          | <b>11,828,642</b> | <b>7,784,772</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                                      |          |                   |                  |
| ძირითადი საშუალებები                                                              | 9        | 412,390           | 246,632          |
| არამატერიალური აქტივები                                                           | 10       | 8,519             | 8,550            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                                                  |          | <b>420,910</b>    | <b>255,181</b>   |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                                                           |          | <b>12,249,552</b> | <b>8,039,954</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                                              |          |                   |                  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                                 |          |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (2018: ადრე წარდგენილი 1,398,682 ლარი) | 11       | 1,840,960         | 1,245,871        |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                        | 7        | 131,072           | -                |
| მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი                                      | 12       | 6,270,589         | 3,658,677        |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                             |          | <b>8,242,621</b>  | <b>4,904,548</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                                                      |          | <b>8,242,621</b>  | <b>4,904,548</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                          |          |                   |                  |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) (2018: ადრე წარდგენილი 3,136,885 ლარი)  | 20       | 4,006,931         | 3,135,406        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                      |          | <b>4,006,931</b>  | <b>3,135,406</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>                                 |          | <b>12,249,552</b> | <b>8,039,954</b> |

დირექტორი

ირინე ბრძელიძე

ფინანსური დირექტორი

ივანე კვირიკაშვილი

6-21 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### მოგებისა და ხარჯის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                                                                     | შენიშვნა | 31-12-19         | 31-12-18         |
|-------------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                                                                           | 14       | 25,875,565       | 19,841,225       |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება                                                 |          | (20,400,846)     | (15,856,920)     |
| <b>საერთო მოგება</b>                                                                |          | <b>5,474,719</b> | <b>3,984,304</b> |
| სხვა შემოსავლები                                                                    | 15       | 695,715          | 186,287          |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი (2018: ადრე<br>წარდგენილი 1,033,558 ლარი)           |          | (1,481,388)      | (1,033,575)      |
| მიწოდების ხარჯები                                                                   |          | (1,193,302)      | (690,288)        |
| სხვა ხარჯები                                                                        | 16       | (309,155)        | (91,846)         |
| მოგება/(ხარჯი) საკუთროს სხვაობიდან - წმინდა<br>(2018: ადრე წარდგენილი 248,492 ლარი) | 17       | (1,090,342)      | (249,951)        |
| <b>საოპერაციო მოგება (2018: ადრე წარდგენილი<br/>2,106,407 ლარი)</b>                 |          | <b>2,096,247</b> | <b>2,104,931</b> |
| ფინანსური ხარჯი                                                                     | 18       | (508,911)        | (228,351)        |
| <b>მოგება დაბეგვრამდე (2018: ადრე წარდგენილი<br/>1,878,057 ლარი)</b>                |          | <b>1,587,336</b> | <b>1,876,581</b> |
| მოგების გადასახადი                                                                  |          | (105,835)        | (8,294)          |
| <b>წმინდა მოგება (2018: ადრე წარდგენილი 1,869,762<br/>ლარი)</b>                     |          | <b>1,481,502</b> | <b>1,868,286</b> |
| გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (ადრე<br>წარდგენილი)                            | 20       |                  | 1,537,069        |
| წინა პერიოდის შეცდომის გასწორების ეფექტი                                            |          |                  | (3)              |
| გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი<br>(გადაანგარიშებული)                           |          | 3,135,406        | 1,537,066        |
| დივიდენდები                                                                         |          | (609,976)        | (269,947)        |
| <b>გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი</b>                                          |          | <b>4,006,932</b> | <b>3,135,406</b> |

დირექტორი

ირინე ბრძელიძე

ფინანსური დირექტორი

ივანე კვირიკაშვილი

6-21 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

|                                                                            | 31-12-19       | 31-12-18       |
|----------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                            |                |                |
| მოგება დაბეგვრამდე                                                         | 1,587,336      | 1,876,581      |
| კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:                  |                |                |
| - ცვეთა და ამორტიზაცია                                                     | 75,340         | 37,887         |
| - სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი                                  | 284,081        | 71,279         |
| - მარაგების გაუფასურების ზარალი                                            |                | 534            |
| - საგარანტიო მომსახურების ანარიცხები                                       | 104,550        | 105,853        |
| - უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო მატ. ფას. საბაზრო ფასი                     | (689,136)      | (165,655)      |
| - უსასყიდლოდ მიწოდება                                                      | 18,986         | 15,408         |
| - (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან                                       | 1,013,451      | 208,173        |
| - წმინდა ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯი                                      | 508,911        | 228,351        |
| - (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან                      | (4,359)        | 741            |
| <b>ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:</b>                                       |                |                |
| - შეზღუდული ფულადი სახსრები                                                | (14,118)       | -              |
| - მარაგები                                                                 | (2,694,217)    | (2,283,856)    |
| - მოკლევადიანი მოთხოვნები                                                  | (701,391)      | (658,103)      |
| - სხვა საგადასახადო აქტივები/ ვალდებულებები                                | 203,035        | (227,195)      |
| - მოკლევადიანი ვალდებულებები                                               | 83,230         | 687,896        |
| <b>ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები</b>                           | (224,301)      | (102,108)      |
| - გადახდილი პროცენტები                                                     | (514,158)      | (229,331)      |
| - გადახდილი მოგების გადასახადი                                             | (77,203)       | (8,294)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                     | (815,662)      | (339,732)      |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                          |                |                |
| - არამატერიალური აქტივების შეძენა                                          | (1,045)        | (5,374)        |
| - ძირითადი საშუალებების შეძენა                                             | (250,113)      | (167,334)      |
| - ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები                     | 14,448         | 13,989         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                   | (236,710)      | (158,719)      |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                             |                |                |
| - სასესხო ვალდებულების ზრდა                                                | 20,260,483     | 8,652,302      |
| - სასესხო ვალდებულებების დაფარვა                                           | (18,282,232)   | (7,721,912)    |
| - გადახდილი დივიდენდები                                                    | (609,976)      | (269,947)      |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                      | 1,368,275      | 660,444        |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)</b>    | <b>315,903</b> | <b>161,992</b> |
| ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი        | 400,098        | 259,588        |
| გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება                            | 80,366         | (21,482)       |
| <b>ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი</b> | <b>796,367</b> | <b>400,098</b> |

დირექტორი

ირინე ბრძელიძე

ფინანსური დირექტორი

ივანე კვირიკაშვილი

6-21 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## **ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

### **1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს ემტექნიკსი (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2013 წლის 7 მარტს. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი კახა გაბრიჭიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამომხმარებლო ელექტრონიკის საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი.

### **2. მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები. ვირუსმა და აგრეთვე მისი გავრცელების ალკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკური გარემო. 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. ყოველივე ამან გამოიწვია კომპანიის გაყიდვების შემცირება, თუმცა კომპანიამ შეძლო საერთო მოგების მარჯის შენარჩუნება. კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ნაწილობრივ დაფინანსდა სესხების ზრდით, მიუხედავად ამისა კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2020 წლის 24 ივნისს.

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### *სამუშაო და წარდგენის ვალუტა*

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

##### *ოპერაციები და ნაშთები*

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ბარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |            |        |
|----------------------------------------------|------------|--------|
|                                              | აშშ დოლარი | ევრო   |
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.8677     | 3.2095 |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.6766     | 3.0701 |

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მინორების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

| ძირითადი საშუალებების ჯგუფი         | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------------------|-------------------------------------|
| სატრანსპორტო საშუალებები            | 3-6                                 |
| მანქანა-დანადგარები                 | 2-5                                 |
| კომპიუტერული ტექნიკა                | 3-8                                 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 2-9                                 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5-6                                 |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

### მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

## აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ბარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ბარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

## ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების

ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ბარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ბარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ბარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ბარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ ითოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

### **ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ბარალში, როდესაც იგი განეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

### **ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის**

კომპანიის მიერ გაყიდულ ყველა საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას 2-3 წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის შეკეთებას ან შეცვლას კომპანია ახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც აღიარდება შემოსავალი, კეთდება ანარიცხი საგარანტიო მომსახურების ვალდებულების შეფასებული დანახარჯებისათვის.

## ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდამოშობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

## სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

## ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია სანარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების სანარმოოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება სანარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები განეწესთანავე აღიარდება მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ განეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

#### **4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ**

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

##### **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

## უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ

რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

## საგარანტიო ანარიცხები

კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აღიარებს იმ მომენტში, როდესაც აღიარებს შესაბამის შემოსავალს. კომპანია საგარანტიო ანარიცხებს აფასებს წარსული გამოცდილებისა და იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე და მომავალში დასაკამყოფილებელი მოვალების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის რეალიზებული საქონლისთვის.

შეფასების პროცესის თანდაყოლილი განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, ფაქტიური საგარანტიო ხარჯები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ანარიცხის შეფასებული თანხისგან.

## ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

## 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                 | 2019           | 2018           |
|---------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 37,908         | 69,965         |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 346,268        | 294,947        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 412,190        | 35,186         |
| <b>სულ</b>                      | <b>796,367</b> | <b>400,098</b> |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია შემზღუდული ფულადი სახსრები 14,118 ლარის მოცულობით, რომელიც წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ გარანტიის დეპოზიტს. თანხის გამონთავისუფლება მოხდა 2020 წლის თებერვალში.

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                                                           | 2019             | 2018             |
|-----------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო                                 | 1,921,472        | 1,576,798        |
| გადახდილი ავანსები (2018: ადრე წარდგენილი 1,738,648 ლარი) | 1,487,514        | 1,584,373        |
| მოთხოვნა დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 19)     | 225,351          | 122,442          |
| <b>სულ</b>                                                | <b>3,634,337</b> | <b>3,283,613</b> |

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების გარალი 284,081 ლარის ოდენობით (2018 წელს 71,269 ლარი). არსებული და მომავალი სავაჭრო მოთხოვნები 2,146,823 ლარის ოდენობით დატვირთულია გირავნობით აღებული საბანკო სესხების სასარგებლოდ.

### 7. საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)

|                                                      | 2019             | 2018           |
|------------------------------------------------------|------------------|----------------|
| გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება | (28,631)         | -              |
| გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა                | (825)            | (956)          |
| საშემოსავლო გადასახადი                               | (2,539)          | (2,122)        |
| გადასახდელი დღგ                                      | (85,326)         | (48,531)       |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები                      | (13,750)         | (1,000)        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები                      | -                | 153,203        |
| <b>სულ</b>                                           | <b>(131,072)</b> | <b>100,594</b> |

### 8. მარაგები

|            | 2019             | 2018             |
|------------|------------------|------------------|
| საქონელი   | 7,383,007        | 3,987,287        |
| სხვა       | 814              | 13,180           |
| <b>სულ</b> | <b>7,383,820</b> | <b>4,000,468</b> |

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 20,400,873 ლარი (2018 წელს 15,856,386 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების გარალმა შეადგინა 0 ლარი (2018 წელს 534), იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში. არსებული და სამომავლო მარაგები სრული მოცულობით დატვირთულია გირავნობით აღებული საბანკო სესხების სასარგებლოდ.

## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 9. ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება                  | მანუანა-<br>დანადგარები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ავტო და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით აღებული<br>ქონების<br>კემთილმონაცობა | სულ              |
|---------------------------------|-------------------------|-------------------------|---------------------------|-----------------------------|---------------------------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2018</b>        | <b>9,915</b>            | <b>22,101</b>           | <b>36,998</b>             | <b>204,133</b>              | <b>37,963</b>                               | <b>311,111</b>   |
| შემოსვლა                        | -                       | 9,508                   | 148,516                   | 92,089                      | -                                           | 250,113          |
| გასვლა                          | -                       | -                       | -                         | (27,060)                    | -                                           | (27,060)         |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>        | <b>9,915</b>            | <b>31,610</b>           | <b>185,514</b>            | <b>269,163</b>              | <b>37,963</b>                               | <b>534,164</b>   |
| <b>ცვმთა და გაუფასურება</b>     |                         |                         |                           |                             |                                             |                  |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>        | <b>(666)</b>            | <b>(9,041)</b>          | <b>(15,980)</b>           | <b>(28,480)</b>             | <b>(10,312)</b>                             | <b>(64,479)</b>  |
| პერიოდის ამორტიზაცია            | (1,983)                 | (5,549)                 | (18,020)                  | (43,019)                    | (5,694)                                     | (74,265)         |
| გაუფასურება                     | -                       | -                       | -                         | -                           | -                                           | -                |
| გასვლა                          | -                       | -                       | -                         | 16,970                      | -                                           | 16,970           |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>        | <b>(2,649)</b>          | <b>(14,590)</b>         | <b>(34,000)</b>           | <b>(54,529)</b>             | <b>(16,006)</b>                             | <b>(121,774)</b> |
| <b>ნეთ საბალანსო ღირებულება</b> |                         |                         |                           |                             |                                             |                  |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>        | <b>9,249</b>            | <b>13,060</b>           | <b>21,017</b>             | <b>175,653</b>              | <b>27,652</b>                               | <b>246,632</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>        | <b>7,267</b>            | <b>17,020</b>           | <b>151,513</b>            | <b>214,634</b>              | <b>21,957</b>                               | <b>412,390</b>   |

## შპს ემტექნიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 10. არამატერიალური აქტივები

| თვითღირებულება                    | პროგრამული<br>უზრუნველყოფა | სულ            |
|-----------------------------------|----------------------------|----------------|
| <b>31 დეკემბერი 2018</b>          | <b>11,847</b>              | <b>11,847</b>  |
| შემოსვლა                          | 1,045                      | 1,045          |
| გასვლა                            | -                          | -              |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>          | <b>12,892</b>              | <b>12,892</b>  |
| <b>ამორტიზაცია და გაუფასურება</b> |                            |                |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>          | <b>(3,297)</b>             | <b>(3,297)</b> |
| პერიოდის ამორტიზაცია              | (1,075)                    | (1,075)        |
| გაუფასურება                       | -                          | -              |
| გასვლა                            | -                          | -              |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>          | <b>(4,373)</b>             | <b>(4,373)</b> |
| <b>ნეთი საბალანსო ღირებულება</b>  |                            |                |
| <b>31 დეკემბერი 2018</b>          | <b>8,550</b>               | <b>8,550</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>          | <b>8,519</b>               | <b>8,519</b>   |

### 11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

|                                                                 | 2019             | 2018             |
|-----------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები (2018: ადრე წარდგენილი<br>1,299,906 ლარი) | 1,684,868        | 1,147,094        |
| ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ<br>(შენიშვნა 19)   | 48,492           | 12,622           |
| მიღებული ავანსები                                               | 30,558           | 18,618           |
| გადასახდელი ხელფასები                                           | 7,333            | 16,129           |
| საგარანტიო მომსახურების ანარიცხი                                | 69,708           | 51,408           |
| <b>სულ</b>                                                      | <b>1,840,960</b> | <b>1,245,871</b> |

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 12. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

|                                                             | 2019             | 2018             |
|-------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | 6,270,589        | 3,653,415        |
| გადასახდელი პროცენტი                                        | -                | 5,263            |
| <b>სულ</b>                                                  | <b>6,270,589</b> | <b>3,658,677</b> |

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხს, რომელიც დენომინირებულია აშშ დოლარში და ლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომინირებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 6.8 - 7%-ს, ხოლო ლარში დენომინირებულ სესხზე წლიურ 12.5%-ს. სესხების დაფარვის ვადა მერყეობს 2020 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე. სესხებს ახლავს პირობა რომ ბანკს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხებით, შესაბამისად ყველა სესხი კლასიფიცირებული იქნა მოკლევადიან სესხად. კომპანიას ბანკის მიერ დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად, აგრეთვე უნდა შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტები ბანკის მიერ დადგენილ დონეზე. ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია სანარმოს მარაგებით და დებიტორული დავალიანებით, სესხები დამატებით უზრუნველყოფილია დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით და წილით სანარმოში (შენიშვნა 6, შენიშვნა 8 და შენიშვნა 19).

### 13. ფინანსური ინსტრუმენტები

|                                                        |                  |                  |
|--------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                              | <b>2019</b>      | <b>2018</b>      |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები | 2,943,190        | 2,099,338        |
| <b>სულ</b>                                             | <b>2,943,190</b> | <b>2,099,338</b> |

|                                                             |                  |                  |
|-------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                              | <b>2019</b>      | <b>2018</b>      |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | 8,003,950        | 4,818,393        |
| <b>სულ</b>                                                  | <b>8,003,950</b> | <b>4,818,393</b> |

### 14. ამონაბეები

|                  | 2019              | 2018              |
|------------------|-------------------|-------------------|
| საქონლის გაყიდვა | 25,875,565        | 19,841,225        |
| <b>სულ</b>       | <b>25,875,565</b> | <b>19,841,225</b> |

**შპს ემტექნიკსი**

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

**15. სხვა შემოსავლები**

|                                                       | 2019           | 2018           |
|-------------------------------------------------------|----------------|----------------|
| უსასყიდლოდ მიღებული მარაგების საბაზრო ფასი            | 689,136        | 165,655        |
| ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა | 4,359          | -              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                         | 2,220          | 20,632         |
| <b>სულ</b>                                            | <b>695,715</b> | <b>186,287</b> |

**16. სხვა ხარჯები**

|                                                   | 2019             | 2018            |
|---------------------------------------------------|------------------|-----------------|
| სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი           | (284,081)        | (71,279)        |
| ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი | -                | (741)           |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                        | (25,074)         | (19,826)        |
| <b>სულ</b>                                        | <b>(309,155)</b> | <b>(91,846)</b> |

**17. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა**

|                                                                         | 2019               | 2018             |
|-------------------------------------------------------------------------|--------------------|------------------|
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება (2018: ადრე წარდგენილი 1,773,773 ლარი) | 3,472,379          | 1,770,806        |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი (2018: ადრე წარდგენილი 2,022,264 ლარი) | (4,562,721)        | (2,020,757)      |
| <b>სულ</b>                                                              | <b>(1,090,342)</b> | <b>(249,951)</b> |

**18. ფინანსური დანახარჯები**

|                                                                                       | 2019             | 2018             |
|---------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი | (508,911)        | (228,351)        |
| <b>სულ</b>                                                                            | <b>(508,911)</b> | <b>(228,351)</b> |

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია კახა გაბრიჭიძე.

კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით და წილით სანარმოში. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

#### საქონლის მიწოდება:

|                             | 2019           | 2018          |
|-----------------------------|----------------|---------------|
| მაკონტროლებელი მხარე        | 8,145          | 4,393         |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 103,501        | 86,683        |
| <b>სულ</b>                  | <b>111,646</b> | <b>91,076</b> |

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

#### მომსახურების შეძენა:

|                             | 2019           | 2018           |
|-----------------------------|----------------|----------------|
| მაკონტროლებელი მხარე        | 277,660        | 123,000        |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 602,628        | 468,243        |
| <b>სულ</b>                  | <b>880,288</b> | <b>468,243</b> |

მაკონტროლებელი მხარისგან ხდება საიჯარო მომსახურების შეძენა საბაზრო პირობებით. სხვა დაკავშირებული მხარე წარმოადგენს სერვისცენტრს რომლის მაკონტროლებელი მხარე კომპანიის ერთ - ერთი თანამშრომელი. კომპანია მისგან იძენს რეალიზებული პროდუქციის სამონტაჟო და საგარანტიო მომსახურების ფარგლებში შეკეთების მომსახურებას. მომსახურების მოწოდება ხდება სპეციალურ ფასად.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

|                                                               | 2019           | 2018           |
|---------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (შენიშვნა 6)</b> |                |                |
| <i>სავაჭრო დებიტორული დავალიანება:</i>                        |                |                |
| მაკონტროლებელი მხარე                                          | -              | 893            |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                                   | 225,351        | 121,549        |
| <i>გადახდილი ავანსები</i>                                     |                |                |
| მაკონტროლებელი მხარე                                          | -              | -              |
| <b>სულ</b>                                                    | <b>225,351</b> | <b>122,442</b> |

## შპს ემტეენიკსი

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                                                       | 2019          | 2018          |
|-----------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
| <b>ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ<br/>(შენიშვნა 11)</b> |               |               |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება                                       |               |               |
| მაკონტროლებელი მხარე                                                  | -             | 10,360        |
| სხვა დაკავშირებული მხარეები                                           | 48,492        | 2,262         |
| <b>სულ</b>                                                            | <b>48,492</b> | <b>12,622</b> |

დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნის დაფარვის ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული რეალიზაციისას შეთანხმების საფუძველზე. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. 2019 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა (2018 წელს 13,600 ლარი).

მაკონტროლებელი მხარის მიმართ ვალდებულების დაფარვა ხდება შეთანხმების საფუძველზე ინდივიდუალური გრაფიკით. სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულება გადასახდელია მომსახურების შეძენიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

### დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

|                             | 2019           | 2018           |
|-----------------------------|----------------|----------------|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 480,583        | 420,622        |
| <b>სულ</b>                  | <b>480,583</b> | <b>420,622</b> |

## 20. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2020 წელს, საწარმომ აღმოაჩინა, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამორჩენილი იყო ერთ-ერთ მომწოდებელთან გადახდილი ავანსისა და სავაჭრო ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და აგრეთვე სხვა არაარსებითი შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2018 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. გადახდილი ავანსისა და სავაჭრო ვალდებულებების ურთიერთჩათვლის გასწორებამ გამოიწვია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსებისა და სავაჭრო ვალდებულებების 154,274 ლარით შემცირება. გარდა ამისა სხვა არაარსებითი შეცდომების გასწორების შედეგად სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,463 ლარით გაიზარდა, აღნიშნულის შედეგად 2018 წლის საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული მარალი გაიზარდა 1,460 ლარით, ხოლო ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 16 ლარით. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოგება დაბეგვრის შემდგომ შემცირდა 1,476 ლარით. ამასთან, 2018 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შემცირდა 3 ლარით, 2018 წლამდე პერიოდებთან დაკავშირებული შეცდომის ოდენობა.

## **21. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდი 1,111,895 ლარის ოდენობით.

კომპანია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეიძინა 3 სატრანსპორტო საშუალება ჯამური ღირებულებით 42,158 ლარი.

გამონთავისუფლდა შეზღურული ფულადი სახსრები, ბანკის მიერ გაცემული გარანტიის დეპოზიტი, 14,118 ლარის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიის მიერ მოხდა სესხების აღება 14,074,050 ლარის ეკვივალენტის ოდენობით და სესხების დაფარვა 7,073,332 ლარის ეკვივალენტის ოდენობით.

2020 წლის თებერვლიდან კომპანიამ თავის საქმიანობას დაამატა ახალი მიმართულება, ავეჯის იმპორტი და რეალიზაცია. აღნიშნულით კომპანია მოელის სემონური გაყიდვების დაბალანსებას.